

# "ოკუპაციის პრობლემის გადასატყუარად მხოლოდ დიპლომატიური ბერკეტები უნდა გამოვიყენოთ"



ოკუპაციის პრობლემის საწინააღმდეგოდ საჭიროა მხოლოდ დიპლომატიური ბერკეტები, მხოლოდ მშვიდობიანი გზა, – ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა, სადომე ბურაბიშვილმა ჟურნალისტებს სოფედ ჩორჩანას მიმდებარედ საოკუპაციო ძალების მიერ უკანონო

**ინსტარაციების აღმართვის თემაზე საუბრისას განუცხადა.**

*„ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი პრობლემა არის ოკუპაცია. ეს გითხარით და გავიმეორებ რამდენჯერაც საჭირო იქნება – მხოლოდ დიპლომატიური ბერკეტები, მხოლოდ მშვიდობიანი გზა. უნდა გამოვიყენოთ ყველა საშუალება, რაც არსებობს დედამიწის ბურგზე და ვიყენებთ მაქსიმალურად.*

*კიდევ უნდა ვეცადოთ დიპლომატიურად და ამას არასდროს შევაჩერებთ. დაძაბულობისა და ესკალაციის გზაზე ჩვენ უარი ვთქვით“, – განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა სადომე ბურაბიშვილმა ჟურნალისტებთან საუბრისას ობურგეთში.*

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში დღეს განაცხადეს, რომ ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფედ ჩორჩანას მიმდებარედ, საოკუპაციო ძალების პროვოკაციური აქტივობების შედეგად, განხორციელდა ცენტრალური ხედისუფდების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე უკანონო ინსტარაციების აღმართვა, რაც უკანონო ე.წ. ბორდერიზაციის კონტექსტში განიხილება. სუს-ის ცნობით, აღნიშნული პროცესი წარმოადგენს იმ უკანონო აქტივობების ნაწილს, რასაც საოკუპაციო

ძარები, 2011 წლიდან ახორციელებენ საოკუპაციო ხაზის მთელს პერიმეტრზე.